საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე გველესიანის* ---------- შეფასების შედეგი:

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 19 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 23 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 19 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 7 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 3 | 5 |
| ქულათა ჯამი | 85 | 100 |

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## ზაზა ხარებავა

### სალომე გველესიანის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე გველესიანის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: „საბჭოს წევრები, ამ კანონის $36^3$ მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის $35^1$ მუხლის მე-16 პუნქტით, $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის $36^3$ მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

„საერთო სასამათლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3$ მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

**1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

**2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

**3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

**4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:**
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

| მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით | | დასაბუთება |
|---|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ | საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ სალომე გველესიანის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.<br><br>**1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**<br><br>კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოქალაქეა, არის კეთილსინდისიერი და გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, საკმაოდ კორექტულად, ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. კანდიდატი კეთილსინდისიერად და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, კერძოდ: კერძოდ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. მოძიებული მასალით საგზაო მოძრაობის წესის დარღვევის ერთი ფაქტი ფიქსირდება, კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი დადგენილი ჯარიმა.<br>კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას პატიოსან, კეთილსინდისიერ, პასუხისმგებლიან, კორექტულ, შეგნებულ, სიმართლის მოყვარე, თავმდაბალ, გულისხმიერ პიროვნებად ახასიათებენ.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ | |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ | |

| | | |
|---|---|---|
| | | **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:**<br>კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით, სიმტკიცით, შეუვალობით. იგი თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი.<br>კანდიდატმა საჯარო მოსმენისას აღნიშნა, რომ იგი იყო მაგისტრი რუსთავის საქალაქო სასამართლოში, განიხილავდა უდავო წარმოების საქმეებს და დამოუკიდებლად ახორციელებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.<br>გასაუბრების პროცესშიც კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა დამოუკიდებლად, ობიექტურად,<br>შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. ასევე რეკომენდატორები უთითებენ, რომ სალომე გველესიანი გამოირჩევა დამოუკიდებელობით, პრინციპულობით, შეუვალობით, პიროვნული სიმტკიცით და ზეგავლენის მიმართ მედეგობით.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:**<br><br>გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. შესწევს ემოციების მართვის უნარი. რეკომენდატორებიც კანდიდატს ღირსეულ, გაწონასწორებულ, ზრდილობიან, გულისხმიერ, კორექტულ, თავდაჯერებულ პიროვნებად ახასიათებენ, რომელსაც ასევე შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა, კოლეგების მოსმენა და საჭირიროებისამებრ მათი აზრის გათვალისწინება. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით კი დგინდება, რომ სალომე გველესიანის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. იგი სასამართლოში |

| | | |
|---|---|---|
| | | მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. ასევე მის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**<br>კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით, რეკომენდატორებიდან ერთ-ერთი მიიჩნევს, რომ ,,ის არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში''. აღნიშნულის თაობაზე გასაუბრებისას კანდიდატმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე შესარჩევ კონკურსში განაცხადის გაკეთება და პროცესში მონაწილეობა საკუთარ შესაძლებლობების რწმენის გარეშე წარმოუდგენელია. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის სხვა პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.<br>კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ იძებნება.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.<br><br>**5. ფინანსური ვალდებულება:**<br>სალომე გველესიანი, მართალია არ წარმოადგენს სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს, თუმცა ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მის შეფასებას ვახორციელებ ამ მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასების მსგავსად - ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3]-ე მუხლის გათვალისწინებით ისე, როგორც ეს რეგლამენტირებულია ამავე კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა მომავალში, მისი მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში საფრთხე შეუქმნას კანდიდატის მიუკერძოებლობას, არ გამოვლენილა.<br>მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის მახასიათებლებს, 36[3] მუხლის გათვალისწინებით.<br>ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს.<br>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.<br>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. |
| მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით | | | დასაბუთება |
| კრიტერიუმი | მიღებული ქულა | მაქსიმალური ქულა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 19 | 25 | კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის გაცნობითა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით.<br>კანდიდატმა წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი: „სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება“.<br>კანდიდატმა გასაუბრებისას მეტწილად გამოავლინა სამართლის ნორმების კარგი თეორიული ცოდნა, გასაუბრებისას ისაუბრა სამოქალაქო სამართალზე, საქართველოს კონსტიტუციაზე, ადამიანის უფლებათა სამართალზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაზე.<br>უნდა აღინიშნოს, მართალია კანდიდატი სამართლის დარგებში კარგ თეორიულ ცოდნას ფლობს, მაგრამ მის მსჯელობა გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე სიღრმისეული ანალიზი აკლდა და მისი მოსაზრებები ზედაპირული და არაამომწურავი იყო. კანდიდატის მოსაზრებით სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირი რომელიც უკიდურესი აუცილებლობით მოქმედებს თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისგან. ამასთან, ბუნდოვნად ისაუბრა უკიდურესი აუცილებლობისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ურთიერთმიმართებაზე. კანდიდატმა ისაუბრა კონსტიტუციით დაცულ პატივისა და ღირსების უფლებებზე, მათ შორის სხვაობაზე. ასევე აღნიშნა, რომ მართალია პრეამბულა კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ იგი გადაწყვეტილების დასაბუთებისას არ დაეყრდნობა მას. კანდიდატი იცნობს ქალთა უფლებების დაცვის მხრივ არსებულ საერთაშორისო ინსტუმენტებს. კანდიდატმა ვერ დაასახელა, თუ რომელი ორგანო წარუდგენს მოსამართლეთა კონფერენციას სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტს დასამტკიცებლად.<br>კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა და გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი.<br>იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატს აქვს სამართლის სამივე დარგში კარგი თეორიული ცოდნა და ასევე კარგად იყენებს მას პრაქტიკაში. კანდიდატი ასევე კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას.<br>გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და საკუთარ საქმიანობაში წარმატებით იყენებს მათ.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში სალომე გველესიანი უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით. |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 23 | 25 | კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ანალიზისა, მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით.<br>სამაგისტრო ნაშრომის გაცნობით დგინდება, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი პრობლემის დანახვის, მისი ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, სამართლებრივი ამოცანების გადაწყვეტისთვის შესაბამისი უნარები;<br>აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი და შედარებით არგუმენტირებული. სამართლის პრინციპებსა და თეორიულ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა იყო ზედაპირული, მოკლებული იყო ღრმა ანალიზს.<br>კანდიდატს აქვს 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება. იგი მუშაობდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე, აგრეთვე იყო მაგისტრი მოხელე. ამჟამად რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით, დაკისრებული აქვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის მწერალი თანაშემწის მოვალეობა.<br>იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით სალომე გველესიანს აქვს ლოგიკურად გამართული აზროვნების უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი ძირითადად |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ კრიტერიუმში სალომე გველესიანი უნდა შეფასდეს 23 (ოცდასამი) ქულით. |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 19 | 20 | კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის გაცნობით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. შედეგად ვასკვნი, რომ წერისასა კანდიდატი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. სამაგისტრო ნაშრომი არ არის გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით, კარგად ფლობს და ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ლექსიკას, იგი მკითხველისთვის იოლად აღსაქმელია. შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.<br>კანდიდატმა აგრეთვე გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი.<br>რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს წერისა და ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი ძირითადად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ კრიტერიუმში სალომე გველესიანი უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით. |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 | კანდიდატის პროფესიული თვისებების შეფასებისას ვიხელმძღვანელე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათების გაცნობით, რის შემდეგაც შემიძლია დავასკვანა, რომ კანდიდატი მეტწილად არის კომპეტენტური, შრომისმოყვარე, პუქტუალური და მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების და ანალიზის უნარი. აქვს გუნდურად მუშაობის გამოცდილება და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებების" კრიტერიუმში სალომე გველესიანი უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით. |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 7 | 10 | აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით.<br>კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. აგრეთვე ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.<br>წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.<br>კანდიდატს გავლილი აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსი.<br>კანდიდატს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. სალომე გველესიანი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის'' კრიტერიუმში სალომე გველესიანი უნდა შეფასდეს 7 (შვიდი) ქულით. |
| პროფესიული აქტივობა | 3 | 5 | პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესზე მასზე დაკვირვებით.<br>კანდიდატს სამართლებრივ საკითხებზე გამართულ არაერთ სამართლებრივ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, შემდეგ თემებზე: სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; სახელშეკრულებო სამართალი; პირობები, ხელშეკრულების მოშლა, შეწყვეტა, გასვლა, ბათილობა და მათი სამართლებრივი შედეგები; ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა; სახელშეკრულებო სამართალი: იჯარა, დაზღვევა და საბანკო ხელშეკრულება; დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები; ეფექტიანი კომუნიკაცია და სხვა.<br>კანდიდატის სხვა სახის პროფესიული აქტივობის თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.<br>ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სალომე გველესიანი ძირითადად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „პროფესიული აქტივობის'' კრიტერიუმში სალომე გველესიანი უნდა შეფასდეს 3 (სამი) ქულით. |
| ქულათა ჯამი | 85 | 100 | |

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა: 

თარიღი : 27.05.2021